SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

ოქტომბერი-ნოემბერი | 2022

# მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№21

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ტყიბულის ამბები / იმერეთის სიახლეები

## „საქნახშირმა“ პოტენციურ კლიენტებთან მოლაპარაკება დაიწყო

გვ.2

## 12 ოსტატ-ამფეთქებელს საერთაშორისო კვალიფიკაციის ამფეთქებლის სერტიფიკატი გადაეცა

გვ.3

## ტყიბულში დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დაფუძნება იგეგმება

გვ.5

## ქუთაისში ინოვაციების პირველი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი გაიმართა

გვ.7

# „საქნახშირმა“ პოტენციურ კლიენტებთან მოლაპარაკება დაიწყო

„საქნახშირში“ ახალი შახტისა და თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტებზე მუშაობა, ასევე, პოტენციურ პარტნიორებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

Czech Trade Georgia-ს ინიციატივით, საქართველოში ჩეხური კომპანიების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, რომლებიც სამთო-მოპოვებისთვის სპეციალიზირებულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს აწარმოებენ. მათ „საქნახშირს“ საკუთარი მომსახურებები გააცნეს, მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს და არსებული შესაძლებლობები განიხილეს.

**მიხაილ სოცკი, „საქნახშირის“ გენერალური დირექტორი:** „ჩავატარეთ შეხვედრები ტექნიკისა და აღჭურვილობის პოტენციურ მომწოდებლებთან. ეს ყველაფერი ახალი შახტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს. დღეს ჩვენ შევხვდით წამყვან ჩეხურ კომპანიებს, რომლებიც სამთო-მოპოვებით სფეროში შახტისთვის სპეციალიზირებულ თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს აწარმოებენ. ჩვენ ვიმუშავებთ როგორც მათთან, ისე სხვა ქვეყნების მწარმოებელ კომპანიებთან. უახლოეს მომავალში, მსგავსი ხასიათის არაერთი შეხვედრა გაიმართება. უახლოესი 4 თვის განმავლობაში უკვე საბოლოოდ გადავწყვეტთ რომელ ტექნოლოგიებს გამოვიყენებთ და ტექნიკის რომელ მომწოდებლებთან გავაგრძელებთ საქმიანობას. ამის შემდეგ უკვე დავიწყებთ ახალი შახტის მშენებლობის პროექტს.“

**შტეპან ილეკი, Czech Trade-ის წარმომადგენელი:** „Czech Trade თანამშრომლობს ექსპორტის სფეროში მომუშავე ყველა ჩეხურ კომპანიასთან. კომპანიები, რომლებიც ტყიბულში ჩამოვიდნენ, „საქნახშირს“ სთავაზობენ თამედროვე ტექნიკასა და ახალ ტექნოლოგიებს, არა მხოლოდ ნახშირის მოპოვების, არამედ ნახშირის გამდიდრების მიმართულებითაც. „საქნახშირის“ სპეციალისტებმა ძალიან საინტერესო პროექტები გაგვაცნეს. თანამშრომლობის შემთხვევაში განიხილება ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბება და რა თქმა უნდა, ქართული პროდუქტის ჩეხეთში და სხვა ქვეყნებში გატანა. კომპანიები, რომლებიც დღეს ტყიბულში ჩამოვიდნენ, არიან საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდესი ჩეხური მწარმოებლები და მათ დიდი დაინტერესება გამოხატეს ტყიბულისა და „საქნახშირის“ მიმართ.“

**ვაცლავ დიდოურეკი, T Machinery-ის კომერციული დირექტორი:** „ჩვენი საქმიანობა მოიცავს სამთო-მოპოვებითი სფეროს აღჭურვილობის პროექტირებას და წარმოებას. ჩვენი კომპანია მთელი მსოფლიოს მასშიტაბით მუშაობს. დიდი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ დავეხმაროთ „საქნახშირს“ დაფინანსების მოზიდვაში და ერთად გავავითაროთ შახტები თანამედროვე აღჭურვილობით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო უკვე ძალიან ახლოს არის ევროკავშირთან, ის შედის ჩეხეთისთვის პრიორიტეტული 12 ქვეყნის სიაში, ვისთანაც ჩვენს ქვეყანას თანამშრომლობის ჩამოყალიბება სურს. ჩვენი ჩამოსვლის მიზანია გავეცნოთ საწარმოს მიზნებს და ამოცანებს, მის სამომავლო გეგმებს და მის მოთხოვნებს.“

ახალი შახტის მშენებლობა 3 წელი გაგრძელდება და დაახლოებით 450 ადამიანი დასაქმდება. ხოლო, მას შემდეგ, რაც შახტი ექსპლუატაციაში შევა, ტყიბულში დამატებით 2300 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

# ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

კომპანია „საქნახშრისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ორგანიზებით, ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საზეიმო ღონისძიება გაიმართა. „საქნახშირის“ დირექტორის მოადგილემ წარმოების დარგში, ბადრი არაბიძემ და დირექტორის მოადგილემ შრომის უსაფრთხოების დარგში, ავთო ბოჭორიშვილმა სტუდენტებს და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და „საქნახშირისა“ და სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ „საქნახშირი“ სამთო დარგის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას გააგრძელებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სამთოელების დასაქმებას და პროფესიულ ზრდას.

საზეიმო ღონისძებაზე სიტყვით გამოვიდა სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, გიგა ცნობილაძე, ასევე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, რობიზონ რობაქიძე. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სამთო ტექნიკოსის, სამთო ელექტრო-მექანიკოსისა და მყარი წიაღისეულის გამდიდრების, ასევე, სამშენებლო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებებზე წელს 172 აპლიკანტი დარეგისტრირდა (როგორც ტყიბულიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან). აქედან სწავლა 91 სტუდენტმა დაიწყო.

მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, სასწავლო პროცესს „საქნახშირის“ საუკეთესო სამთოელები გაუძღვებიან და ინსტიტუტის სტუდენტებს საკუთარ ცოდნას გაუზიარებენ. შეგახსენებთ, რომ „საქნახშირი“ სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და დასაქმების რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს, ზრუნავს ახალი თაობის სამთოელების პროფესიულ ზრდაზე და რა თქმა უნდა, ზოგადად, სამთო დარგის განვითარებაზე.

# 12 ოსტატ-ამფეთქებელს საერთაშორისო კვალიფიკაციის ამფეთქებლის სერტიფიკატი გადაეცა

*"საქნახშირისა" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ორგანიზებით, მიწისქვეშა ოსტატ-ამფეთქებლებმა სპეციალური კურსი გაიარეს. კურსი მიზნად ისახავდა ამფეთქებლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მომზადებას, მათთვის უნივერსალური ამფეთქებლის კვალიფიკაციის მინიჭებას და ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების სრულყოფას.*

სტუ-ს სპეციალური, აკრედიტებული პროგრამა საერთაშორისო კვალიფიკაციის სერტიფიცირებული ამფეთქებლების მომზადების საშუალებას იძლევა.

"საქნახშირის" გენერალურმა დირექტორმა მიხაილ სოცკიმ და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გელა მაჩაიძემ აღნიშნული სწავლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცეს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი ანზორ აბშილავა, პროფესორი თამაზ შარაშენიძე, ასევე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ რობაქიძე. მათ კურსდამთავრებულებს სწავლების დასრულება მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

საერთაშორისო კვალიფიკაციის ამფეთქებლის სერტიფიკატი 12 ოსტატ-ამფეთქებელს გადაეცა. ამ ეტაპისთვის, სწავლებას კიდევ ერთი ჯგუფი გადის და საბოლოოდ, "საქნახშირის" ყველა ამფეთქებლის სერტიფიცირება იგეგმება.

# წარმოების ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროექტის პრეზენტაცია

*ტყიბულში, კომპანია „საქნახშირისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, წარმოების ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ანზორ აბშილავამ და პროფესორმა გელა მაჩაიძემ წარადგინეს.*

ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მეცნიერებმა, კომპანიასთან შეთანხმებით, ახალი გამოწვევების გადაწყვეტის კონკრეტული ტექნოლოგიური ღონისძიებების ნუსხა შეიმუშავეს. სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ანზორ აბშილავას და პროფესორ გელა მაჩაიძის განცხადებით, მისასალმებელია „საქნახშირის“ მენეჯმენტის ინიციატივა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მეცნიერების მიერ ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროექტის შემუშავების თაობაზე. პროექტის პრეზენტაციის შემდეგ, საწარმოს სამომავლო გეგმების განხილვა მოხდა.

უახლოეს მომავალში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კომპანია „საქნახშირს“ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მემორანდუმი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის „საქნახშირში“ საწარმოო პრაქტიკის, სტაჟირებისა და დასაქმების ერთობლივი პროგრამების ამოქმედებას ითვალისწინებს.

## ეთერ ბუცხრიკიძე

ეთერ ბუცხრიკიძე 17 წელია „ძიძიგურის“ სახელობის შახტის სტაციონალური დანადგარის ამწე მემანქანის პოზიციაზე მუშაობს. ის მეშახტეების შახტში გადაადგილებაზე, ასევე, ტვირთის ჩაშვებასა და ამოტანაზეა პასუხისმგებელი. 5 შვილის დედა წლების წინ არჩეულ საქმეს დღემდე ერთგულად და სიყვარულით აკეთებს.

**ეთერ ბუცხრიკიძე:** „შახტში 2005 წელს, ამწე მემანქანედ  დავიწყე მუშაობა და დღემდე აქ ვმუშაობ. მეუღლეც შახტში მუშაობდა, მნგრეველი იყო. ამ საწარმოს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ. გარდა ამისა, ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს, ლხინშიც და ჭირშიც ერთად ვართ. სასიამოვნოა ისიც, რომ დიდ ყურადღებას და ზრუნვას ვგრძნობთ კომპანიის ხელმძღვანელობისგან. იმედი გვაქვს, კიდევ უფრო გაუმჯობესდება სამუშაო პირობები.

## ივერი გვენეტაძე

ივერი გვენეტაძე 16 წელია „საქნახშირის“ თანამშრომელია. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის ფაკულტეტი საინფორმაციო ტექნიკის სპეციალობით დაამთავრა. 22 წლის იყო როდესაც სამთო სფეროში დასაქმდა. ბოლო სამი წელია ზედაპირული კომპლექსის უბნის უფროსის მოადგილეა. პარალელურად, „ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში“ სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სრული კურსი გაიარა.

**ივერი გვენეტაძე:** „16 წელია სამთო სფეროს ვემსახურები. მშობლიურ ქალაქში ვარ დასაქმებული და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოდ სხვაგან წასვლა არ მიწევს. ეს, რა თქმა უნდა, ამ კომპანიის დამსახურებაა. მიყვარს ჩემი სამსახური, თითოეული მეშახტე ძვირფასია ჩემთვის. იმედი მაქვს, რომ კიდევ მრავალი წელი წარმატებულად გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა.“

## მზევინარ ლომთაძე

მზევინარ ლომთაძე სტაციონალური დანადგარის ამწე მანქანის მემანქანეა. 17 წელია დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით ასრულებს. მეუღლე, მერაბ ლომთაძეც სამთოელი იყო, ოჯახის ტრადიციას ახლა მისი ვაჟი აგრძელებს.

**მზევინარ ლომთაძე:** „2005 წელს „ძიძგურის“ სახელობის შახტში ამწე მანქანის მემანქანედ დავიწყე მუშაობა. დღემდე ამ პოზიციაზე ვმუშაობ. საქმე მალევე შევისწავლე, არ გამჭირვებია ათვისება. მიყვარს ჩემი საქმიანობა, დღემდე პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩემს საქმეს. ჩემთან ერთად ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ და ეს კიდევ უფრო მაძლირებს, სტიმულს მმატებს.“

## ონისე საპანაძე

ონისე საპანაძე მეშახტეების ოჯახიდანაა და 12 წელია ღირსეულად, დიდი პასუხისმგებლობით ემსახურება სამთო სფეროს.

თბილისში ეკოლოგიურ-ეკონომიური ინსტიტუტი „ეკო პლიუსი“ ეკონომისტის სპეციალობით დაამთავრა. უმაღლესის დასრულების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და შახტში უსაფრთხოებისა და ვენტილაციის სამთო ოსტატად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ოსტატ ამფეთქებლად და გვირაბგამყვანად მუშაობდა. რამდენიმე წელია სამთო ოსტატის პოზიციაზე მუშაობს. ასევე არის ტყიბულის მეშახტეთა პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე. პარალელურად, ონისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალში სწავლობდა და სამთო ტექნიკოსის პროფესიას დაეუფლა.

**ონისე საპანაძე:** ჩემთვის და მთელი ტყიბულისთვის, ამ საწარმოს გამართულ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქალაქის განვითარება და ჩვენი წინსვლა დიდწილად მის მუშაობაზეა დამოკიდებული. წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე ვიმუშავე, ყოველთვის კარგ ხალხთან მიწევს მუშაობა. ურთიერთგაგებით, თანადგომით, პატივისცემით ვართ ერთმანეთის მიმართ განწყობილები. ჩემთვის საამაყოა მათთან ერთად საქმიანობა და მინდა, რომ ყოველთვის ასეთი კარგი ადამიანები მყავდეს გვერდით, ვისი იმედიც მუდამ მექნება. ჩვენი მთავარი საზრუნავი უსაფრთხოების წესების დაცვა და სიფრთხილეა. ყველა დასაქმებულს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და მშვიდობიან, წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ.

# დავით ჩერქეზიშვილი TDDF-ის ახალგაზრდული პროგრამის მონაწილეებს შეხვდა

"რატომ უნდა ვიყო წარმატებული" - აღნიშნულ თემაზე დავით ჩერქეზიშვილი ტყიბულის განვითარების ფონდის (TDDF) პროექტებში ჩართულ ახალგაზრდებს ისაუბრა.

,,მიზნების დასახვა და მუდმივი სწრაფვა მათ მისაღწევად, წარმატებისთვის განათლებასთან ერთად, აუცილებელია საკუთარ თავზე უწყვეტად მუშაობა, რასაც უნდა ახლდეს თავდაუზოგავი შრომა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება" - აღნიშნა მერმა.

შეხვედრის ბოლოს დისკუსია გაიმართა. ახალგაზრდებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს რო-

გორც თემის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე, ასევე მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. ამასთან ერთად, მერმა მოსწავლეებს თავისი გამოცდილება და ხედვა გაუზიარა.

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღს ახალი სათამაშოები აქვს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე, კომპანია "რიზორთ ბლუ დაიმონდის" დირექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საბავშვო ბაღებს ესტუმრნენ და პატარები მრავალფეროვანი, ასაკობრივ კატეგორიაზე გათვლილი სათამაშოებით გაახარეს.

"რიზორთ ბლუ დაიმონდმა" 15 000 ლარამდე ღირებულების, მაღალი ხარისხის და სხვადასხვა დასახელების უსაფრთხო სათამაშოების კომპლექტი ქველმოქმედების მიზნით შეიძინა და მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს გადასცა.

ახალი სათამაშოები, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ჩვიდმეტივე საბავშვო ბაღის ოცდათორმეტმა ჯგუფმა მიიღო.

# ტყიბულში დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დაფუძნება იგეგმება

*ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.*

*დოკუმენტს ხელი მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და დინამო თბილისის აკადემიის დირექტორმა, ლევან გვანცელაძემ მოაწერეს.*

მემორანდუმი მიზნად ისახავს 6-დან 12 წლამდე ასაკობრივი გუნდებისთვის ტყიბულში დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დაფუძნებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ნიჭიერი ფეხბურთელების პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, გადამზადდებიან მწვრთნელები, გაუმჯობესდება სპორტული ინფრასტრუქტურა, დაინერგება თანამედროვე საწვრთნელი მეთოდოლოგია, გუნდები უზრუნველყოფილი იქნებიან სპორტული ეკიპირებით და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტურნირებში.

მემორანდუმის გაფორმებამდე, ღია სპორტულ მოედანზე ჯერ ბავშვებთან შეხვედრა გაიმართა, შემდეგ კი, ფეხბურთით დაინტერესებული პირებისთვის პროექტის პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და აკადემიის პროექტების მენეჯერი, გია ისიანი ესწრებოდნენ.

# ქალაქ ტყიბულში წყალმომარაგების მესამე ეტაპის სამუშაოები იწყება

*წყალმომარაგების მესამე ეტაპის სამუშაოები შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ტყიბულის სერვის-ცენტრის რეაბილიტაციას, წყალმომარაგების ქსელის მოწყობას და აბონენტების გამრიცხველიანებას ითვალისწინებს.*

დავით ჩერქეზიშვილი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილეს, ირაკლი ნაფეტვარიძეს და კონტრაქტორი კომპანიის შპს ,,საბას" წარმომადგენლებს შეხვდა. გაიმართა პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია რეზერვუარების, მაგისტრალური მილებისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა იმ ქუჩებზე, სადაც პირველ ეტაპზე სამუშაოები ვერ განხორციელდა. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაკვეთით სამუშაოები 15 დეკემბრიდან დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ პროექტის წინა ორ ეტაპზე ქალაქ ტყიბულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა განხორციელდა.

# ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი

*ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისის მიმდინარეობით დაინტერესდა და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები მოინახულა, რომელთაც სასურსათო პაკეტები გადასცა და მომსახურების შესახებ გაესაუბრა.*

მერთან ერთად, ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ ადეიშვილის თვალის კლინიკათა ქსელის ტყიბულის ფილიალის ოფთალმოლოგები, რომლებმაც უფასო კონსულტაცია გაუწიეს სოფლად მცხოვრებ მოხუცებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება, რომელშიც 26 ბენეფიციარია ჩართული. თითოეულ მათგანი კვირაში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ორჯერ იღებს საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების სერვისს. პროგრამა ყოველთვიურად პროდუქტებით უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს.

# ტყიბულელმა სპორტსმენებმა კუდოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს

საქართველოს კუდოს ფედერაციის ორგანიზებით თბილისში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში, კუდოში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრი 17 კატეგორიაში მიმდინარეობდა და მონაწილეობდნენ როგორც ვაჟები, ისე გოგონები.

ტყიბულელმა სპორტსმენებმა, ლაზარე ცქიფურიშვილმა და გიორგი ქათამაძემ მეორე ადგილი მოიპოვეს, ნიკოლოზ ჩაკვეტაძე და ზაურ გელაძე მესამე ადგილზე გავიდნენ. გამარჯვებულებს შესაბამისი მედლები, თასები და სიგელები გადაეცათ. მათი მწვრთნელი არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, 1 დანის მფლობელი ლევან კუბლაშვილია.

# ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლას 6 ჩემპიონი ჰყავს!

თბილისში, საქართველოს კუნგ-ფუს ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს თასის გათამაშება გაიმართა, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული 14 კუნგ-ფუს სკოლის 130 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის ხელშეწყობით, შეჯიბრში „ოლეგ ფანჩულიძის კუნგ-ფუს სკოლის“ მებრძოლებიც მონაწილეობდნენ.

ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს - მათ 6 პირველი და 2 მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ბადრი ბოჭორიშვილი, ოთარ სანიკიანი, ბაჩო ბარბაქაძე, ალექსი მაჭავარიანი, დავით ჩეტოშვილი და საბა აბესაძე ჩემპიონები გახდნენ, ნიკოლოზ ბუბაშვილი და ლაზარე ბოჭორიშვილი კი პრიზიორები.

გუნდურ ჩათვლაში, ექვსი ჩემპიონით, ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლა მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. გამარჯვებულებს მედლები და დიპლომები, ხოლო სკოლას გუნდური თასი გადასცეს.

# გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი იმერეთს ესტუმრა

ზვიად შალამბერიძემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერი მიიღო. ოფიციალური შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა სხვადასხვა მიმართულებაზე იმსჯელეს.

,,მადლობას გიხდით, რომ რეგიონული ვიზიტის ფარგლებში პირველად იმერეთში ჩამობრძანდით. ეს არის დიდ პატივი პირადად ჩემთვის და რეგიონისთვის. გერმანიის მთავრობის დახმარებით რეგიონში არაერთი პროექტი განხორციელდა და იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო იქნება ჩვენი თანამშრომლობა. ოფიციალურად იმერეთის რეგიონი და მასში შემავალი მუნიციპალიტეტები არ არიან დამეგობრებული გერმანიის ქალაქებთან და კარგი იქნება თუ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას და სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას შევძლებთ.

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველომ შეასრულოს ყველა ვალდებულება, რაც უკვე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეასრულეს. ჩვენ ვისწრაფით ევროკავშირისკენ და ამ გზაზე გერმანიის გვერდით დგომის იმედი გვაქვს“ - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

შეხვედრაზე მხარის გუბერნატორმა ყურადღება გაამახვილა გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე, რომელიც დევნილების გრძელვადიანი განსახლებისთვის, ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან აქტივობებს მოიცავს. გარდა ამისა, ისაუბრა გერმანიის მთავრობის დახმარების სააგენტო ჯაიზეტთან (GIZ) აქტიურ თანამშრომლობაზე.

შეხვედრის დასასრულს, ერნსტ პეტერ ფიშერმა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

# ქუთაისში ინოვაციების პირველი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი გაიმართა

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი KIUInnovate პლატფორმის ფარგლებში ინოვაციების პირველ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმს მასპინძლობს, თემაზე „უნივერსიტეტების მესამე მისია: ინოვაციების ეკოსისტემის განვითარება საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის.“

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და რეგიონში უნივერსიტეტის როლსა და მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მონაწილეებმა ქართველ კოლეგებთან ერთად პრეზენტაციები, პანელური დისკუსიები და ვორკშოპები ჩაატარეს, ასევე, ისაუბრეს იმაზე, თუ რა როლი აქვთ უნივერსიტეტებს ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებაში და როგორ უწყობენ ისინი ხელს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

ფორუმი აერთიანებს მთავრობის, ბიზნესის, უნივერსიტეტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს, ელჩებს, ჩამოსულ სტუმრებს აშშ-დან, ისრაელიდან, გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან.

KIUInnovate Business Forum აშშ-ის საელჩოს უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის (UCBP) და TUM International-თან პარტნიორობით KIU ინოვაციების საეტაპო ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. მისი მიზანია მეწარმეობისა და ინოვაციების დანერგვა და განვითარება უნივერსიტეტში.

ფორუმის ფარგლებში სხვადასხვა თემატური შეხვედრა და KIU-ს სტუდენტების მიერ შექმნილი ინოვაციური პროექტების გამოფენა გაიმართა.

# ხელისუფლების წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდნენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ასევე კახეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულები და სამტრედიის, ტყიბულის, ოზურგეთის, ონის, ყვარლის და საგარეჯოს მერები სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის სამინისტროს, ასევე რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ვიზიტის მიზანს რეგიონული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პოლონურ გამოცდილებასთან გაცნობა წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური გათანაბრების (კოჰეზიის) პოლიტიკის უახლესი მიდგომების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები აგრეთვე გაეცნენ რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებაში სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და არადისკრიმინაციული მიდგომების ინტეგრირების მნიშვნელობას და პოლონურ პრაქტიკას.

სამუშაო ვიზიტი ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ.

# იმერეთმა ომით დაზარალებულ უკრაინელ სტუმრებს უმასპინძლა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე ომით დაზარალებულ უკრაინელ ბავშვებს და მათ მშობლებს შეხვდა და რეგიონის მასშტაბით დაგეგმილი ტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. 30-ზე მეტი უკრაინელი სტუმარი იმერეთის ისტორიულ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ თავისებურებებს გაეცნენ, ტურის ფარგლებში პრომეთეს მღვიმეს, მოწამეთასა და გელათის მონასტრებს ესტუმრნენ. ბავშვებისთვის იმერული კერძების მასტერკლასიც ჩატარდა.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის, ასევე ქალაქ ოდესაში გენერალური კონსულის თორნიკე ბერეკაშვილის ინიციატივით, საქართველო 30-ზე მეტ ომით დაზარალებულ უკრაინელ სტუმარს მასპინძლობს. ბავშვები და მათი აღმზრდელები ირპენის, ბუჩის, ხერსონის, სამხრეთ ოდესის მკვიდრნი არიან. 10 დღის განმავლობაში უკრაინელი ბავშვები და მათი აღმზრდელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეს სტუმრობდნენ.



## ჩვენ ერთად ვქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს

**“ მტვრის წარმოშობის ადგილების ინტენსიური მორწყვა და გვირაბების ინერტული მტვრით მოფიქალება თავიდან აგვაცილებს მტვრის აფეთქების საშიშროებას.**

შრომა სიკეთეა - უსაფრთხო შრომა ბედნიერება! წესების დაცვით ჩვენ ვუფრთხილდებით ერთმანეთის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ”

**გივი კვინტრაძე** 〉 ნახშირის გამამდირებელი ფაბრიკის უფროსის მოადგილე


საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

# მეშახტე

ოქტომბერი-ნოემბერი | 2022 | №21

**სარედაქციო საბჭო:**
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

**მისამართი:** ტყიბული, თაბუკაშვილის 13

კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri